VINTAGE TO PASS WITHOUT SUBSIDY THIS YEAR

Agriculture Ministry reports that grape harvest of 120,000 t is expected in Kakheti this year. Last year, this region harvested 90,000 t. According to preliminary data, wine enterprises will purchase this year 1 kg of Rkatsiteli (white variety) for 1 lari, while Saperavi (red variety) – for 1.1 lari, the newspaper reports. Paata Chavchanidze, deputy head of National Wine Agency, declares that special headquarter is established in Kakheti, which shall secure smooth conduct of the vintage. At that, "there is still no information, whether subsidies will be allocated or not", he notes. As the article points, winemakers regard that state subsidies are not a healthy mechanism. However, farmers do have hope of subsidies unlike to the entrepreneurs, the newspaper reports.

ECONOMIC PRESS MONITOR, July 24, 2013

წლევანდელი რთველი სუბსიდიების გარეშე ჩაივლის

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მოსალოდნელია, რომ წელს ყურძნის მოსავალი 120 000 ტ იქნება კახეთში. გასულ წელს ამ რეგიონში მოწეული იყო 90 000 ტ. წინასწარი მონაცემებით ღვინის საწარმოები შეიძენენ ამ წლის 1 კგ რქაწითელს (თეთრი ჯიშის) 1 ლარად, ხოლო საფერავს (წითელი ჯიშის) 1,1 ლარად. პაატა ჭავჭანიძე, ღვინის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე, აცხადებს, რომ სპეციალური შტაბი იქმნება კახეთში, რომელიც უზრუნველყოფს რთველის მშვიდად ჩატარებას. ამასთან, "ჯერ კიდევ არ არსებობს ინფორმაცია სუბსიდიების გამოყოფის შესახებ", აღნიშნავს ის. სტატიაში აღნიშნულია, რომ მეღვინეების აზრით, სახელმწიფო დაფინანსება არ არის ჯანსაღი მექანიზმი, თუმცა, ფერმერებს, მეწარმეებისგან განსხვავებით, სუბსიდიების იმედი აქვთ.

ECONOMIC PRESS MONITOR, 24 ივლისი, 2013

3 911 Loans Released under Project of Preferential Agro-Credit

3 911 loans to GEL 53 883 598 have been released so far under the Project of Preferential Agro-Credit. In particular, total $13 million 443 thousand 363 under 113 loans have been released in the seven-year loan category intended for construction of enterprises. As BLACK SEA PRESS was told at the Agriculture Ministry of Georgia, representatives of winemaking, cattle-breeding, fishery, bee keeping and poultry farming have enjoyed loans under the Project of Preferential Agro-Credit. Let us remind that the Agency for Management of Agricultural Projects has fixed three components of the project after consultations with banking and credit organizations and suppliers of agricultural equipment. The first component makes up to GEL 5,000 as six-month interest-free food loan released to small farmers. The second component of GEL 5,000-100,000 is intended for funding of purchase in short terms of the tillage means and stock. The two-year loan is intended for medium and big farmers, and its interest makes up to annual 8%. The third component envisages a loan of up to GEL 1 million (equivalent in US$). It is a preferential seven-year agro-credit for agricultural enterprises. Its interest makes up to annual 3%, and it aims at long-term funding of fixed assets and technologies. The above component envisages opening of at least 60 enterprises. 12 banks and two micro-finance organizations are participating in the project.

BLACK SEA PRESS (Georgia), 23 July 2013

3 911 სესხი გაიცა შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხების პროექტის ფარგლებში

53 883 598 ლარის 3 911 სესხი გაიცა ჯერჯერობით პროექტის ფარგლებში. კერძოდ, საერთო 13 443 363 აშშ დოლარის 113 სესხი გაიცა შვიდწლიანი სესხის კატეგორიაში საწარმოების მშენებლობისთვის. როგორც „Black Sea Press"-ს უთხრეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მეღვინეობის, მეცხოველეობის, თევზჭერის, მეფუტკრეობის და ფრინველის მეურნეობის წარმომადგენლებმა ისარგებლეს სესხებით ამ პროექტის ფარგლებში. შეგახსენებთ, რომ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ პროექტის სამი კომპონენტი დაადგინა საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციებთან და სოფლის მეურნეობის ტექნიკის

მიმწოდებლებთან კონსულტაციების შემდეგ. პირველი კომპონენტი არის 5 000 ლარამდე ექვსთვიანი უპროცენტო სესხი კვების პროდუქტებზე მცირე ფერმერებისთვის. მეორე კომპონენტი - 5 000-100 000 ლარი - განკუთვნილია მოკლე ვადებში მიწის დასამუშავებელი ტექნიკის და საქონლის შეძენის დაფინანსებისთვის. ორწლიანი სესხი განკუთვნილია საშუალო და დიდი ფერმერებისთვის და მასზე წლიურად 8%-მდეა გათვალისწინებული. მესამე კომპონენტი ითვალისწინებს სესხს 1 მლნ ლარამდე (ექვივალენტი აშშ დოლარში). ეს არის შეღავათიანი შვიდწლიანი აგრო-კრედიტი წლიური 3%-ით სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის და მისი მიზანია ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების გრძელვადიანი დაფინანსება. ეს კომპონენტი ითვალისწინებს მინიმუმ 60 საწარმოს გახსნას. პროექტში მონაწილეობს 12 ბანკი და ორი მიკრო-საფინანსო ორგანიზაცია.
BLACK SEA PRESS (საქართველო), 23 ივლისი, 2013

Increased Tax on Mineral Water to Affect Georgian Companies
Increased tax on mineral waters Borjomi and Nabeghlavi is sure to affect Georgian companies. It is reported in the special statement of the Georgian Association of Producers of Light Drinks. The statement reads that the increased tax will damage future plans of the companies. In particular, the increased tax on mineral waters will be followed with review of the 25-year license on extraction of water that will affect Borjomi and Nabeghlavi as well as the business environment in general. They say that even possible review, to say nothing about change of terms of the long-term contract, will prevent from development of the companies as well as will affect initiatives of foreign investors. It is stressed that such action is likely to establish hassles for investments as well as to affect both the business environment and the international image. Besides, after the tax is effective, the Georgian companies will pay one of the most expensive taxes in Europe. "System research of drilling wells and the fields as well as of losses of water at technological processes is very important. The issue of discrimination of companies is at least as important as this. We believe that products of one and the same type and companies-producers must not be taxed differently", the statement reads. The Association of Producers of Light Drinks is sure that the above will prevent from successful operation of the companies at the Georgian and export markets. The Association calls at the Government to hold consultations with the companies and to settle all the urgent issues as soon as possible. On 10 July, the Parliament of Georgia approved amendments to the Law Concerning Tax on Exploitation of Natural Resources that envisaged increase of tax on mineral waters Borjomi and Nabeghlavi thrice. Amendments B and G to subparagraph 1 of Paragraph 5 of the above Law read as follows: tax per 1 cubic meter of mineral water Borjomi makes GEL 30, while tax per 1 cubic meter of mineral water Nabeghlavi makes GEL 18. The Law is effective since 1 October 2013. According to the current Law, tax per 1 cubic meter of mineral water Borjomi makes GEL 10, while tax per 1 cubic meter of mineral water Nabeghlavi makes GEL 6. *3*
BLACK SEA PRESS (Georgia), 23 July 201

მინერალურ წყალზე გადასახადის გაზრდა გავლენას მოახდენს ქართულ კომპანიებზე
მინერალურ წყლებზე „ბორჯომი“ და „ნაბეღლავი“ გაზრდილი გადასახადი აუცილებლად მოახდენს გავლენას ქართულ კომპანიებზე. საქართველოს უალკოჰოლო სასმელების მწარმოებლების ასოციაციის სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ გაზრდილი გადასახადები ზიანს მიაყენებს კომპანიების სამომავლო გეგმებს. კერძოდ, მინერალურ წყლებზე გადასახადის გაზრდას მოჰყვება წყლის მოპოვებაზე 25 წლიანი ლიცენზიის გადასინჯვა, რაც გავლენას მოახდენს „ბორჯომსა“ და „ნაბეღლავზე“, ასევე ბიზნეს გარემოზე ზოგადად. კომპანიები აცხადებენ, რომ შესაძლო გადასინჯვა, რომ არაფერი ვთქვათ გრძელვადიანი ხელშეკრულების შეცვლაზე, ხელს შეუშლის განვითარებას, ასევე იმოქმედებს უცხოელი ინვესტორების ინიციატივებზე. განცხადებაში ნათქვამია, რომ ამგვარი ქმედება სავარაუდოდ დაბრკოლებას შეუქმნის ინვესტიციებს ისევე, როგორც

იმოქმედებს ბიზნეს გარემოზე და საერთაშორისო იმიჯზე. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც გადასახადი ძალაში შევა, ქართული კომპანიები გადაიხდიან ერთ-ერთ ყველაზე მაღალ გადასახადს ევროპაში. „ჭაბურღილების და მოპოვების ადგილების, ასევე ტექნოლოგიური პროცესების დროს წყლის დანაკარგების სისტემური კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია. კომპანიების დისკრიმინაციის საკითხი როგორც მინიმუმ, ასევე მნიშვნელოვანია. ჩვენი აზრით, ერთი და იგივე ტიპის პროდუქცია და კომპანიები არ უნდა დაიბეგრონ განსხვავებულად“, ნათქვამია განცხადებაში. „საქართველოს უალკოჰოლო სასმელების მწარმოებლების ასოციაცია“ დარწმუნებულია, რომ ზემოთ თქმული ხელს შეუშლის კომპანიების წარმატებულ ფუნქციონირებას ქართულ და საექსპორტო ბაზრებზე. ასოციაცია მოუწოდებს მთავრობას კონსულტაციები გამართოს კომპანიებთან და მოაგვაროს ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რაც შეიძლება მალე. 10 ივლისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს კანონში „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადის“ შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა გადასახადის სამჯერ გაზრდას მინერალურ წყლებზე „ბორჯომი“ და „ნაბეღლავი“. პუნქტის 5 ქვეპუნქტში 1 შესწორებები „ბ“ და „გ“ იკითხება შემდეგნაირად: „გადასახადი ყოველ 1 კუბურ მეტრ „ბორჯომზე“ არის 30 ლარი, ხოლო ყოველ 1 კუბურ მეტრ მინერალურ წყალზე „ნაბეღლავი“ - 18 ლარი“. კანონი ძალაშია 2013 წლის 1 ოქტომბრიდან. მოქმედი კანონით, გადასახადი ყოველ 1 კუბურ მეტრ „ბორჯომზე“ 10, ხოლო 1 კუბურ მეტრ „ნაბეღლავზე“ 6 ლარია.
BLACK SEA PRESS (საქართველო), 23 ივლისი, 2013

Over 890 Thousand Liters of Georgian Wine and Cognac Imported from Georgia into Russia

Over 890 thousand liters of Georgian wine and cognac and 927 thousand liters of “Borjomi” mineral water have been imported from Georgia into Russia after the productions were allowed back to the Russian market in 2013, Rosspotrebnadzor said on Tuesday. Russia banned imports of Georgian wines and two popular brands of mineral water in 2006, citing poor quality of the products. The embargo was lifted in summer of 2013. “In 2013, 205 batches of alcoholic beverages totaling 891.586 liters was imported from Georgia, including 64 batches totaling 274,409 liters, last week,” – Rosspotrebnadzor says. Also, 26 batches of "Borjomi”, 927.772 liters, was imported from Georgia.
Prime-News, 23 July 2013

890 ათას ლიტრზე მეტი ქართული ღვინის და კონიაკის იმპორტი განხორციელდა საქართველოდან რუსეთში

„როსპოტრებნადზორის“ სამშაბათის განცხადებით, 890 ათას ლიტრზე მეტი ქართული ღვინო და კონიაკი და 927 ათასი ლიტრი მინერალური წყალი "ბორჯომი" იქნა ჩატანილი საქართველოდან რუსეთში მას შემდეგ, რაც ქართულ პროდუქციას მიეცა რუსეთის ბაზარზე დაბრუნების უფლება 2013 წელს. რუსეთმა ქართული ღვინისა და ორი პოპულარული მინერალური წყლის იმპორტი აკრძალა 2006 წელს იმ მოტივით, რომ პროდუქცია უხარისხო იყო. ემბარგო მოიხსნა 2013 წლის ზაფხულში. "2013 წელს ალკოჰოლური სასმელების 205 პარტია, რაც ჯამში 891 586 ლიტრს შეადგენდა, იყო იმპორტირებული საქართველოდან, მათ შორის გასულ კვირას 64 პარტია, ჯამში 274 409 ლიტრი," - აცხადებს „როსპოტრებნადზორი“. გარდა ამისა, 26 პარტია "ბორჯომი", სულ 927 772 ლიტრი, იმპორტირებულ იქნა საქართველოდან.
Prime-News, 23 ივლისი 2013

TI GEORGIA IS GOING TO APPEAL TO CONSTITUTIONAL COURT REGARDING AGRICULTURAL LAND OWNERSHIP

Chief lawyer of TI Georgia Irine Urushadze declared that this Georgian branch of Transparency International is preparing a complaint for the Constitutional Court about agricultural land ownership.

The matter concerns legal amendments, being enforced on July 17, due to which right of agricultural land ownership was ceased for foreigners, foreign legal entities and those registered in Georgia by foreigners until December 31, 2014. This restriction does not apply however to those owners, who purchased plots before enactment of the amendments. Urushadze pointed that "it is unacceptable to ban the purchase even if temporary". At that, she said that "EU model that envisages certain restrictions but not prohibitions" is acceptable for Georgia.
DAILY NEWS, July 23, 2013

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" აპირებს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების საკითხთან დაკავშირებით

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მთავარი იურისტი ირინე ურუშაძე აცხადებს, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობის" საქართველოს ფილიალი ამზადებს საჩივარს საკონსტიტუციო სასამართლოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების საკითხზე. საქმე ეხება საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც 17 ივლისს შევიდა ძალაში, რომლის მიხედვით უფლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაზე შეუწყდათ უცხოელებს, უცხოურ იურიდიულ პირებსა და საქართველოში უცხოელების მიერ რეგისტრირებულ ერთეულებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე. თუმცა, ეს შეზღუდვა არ ვრცელდება იმ მფლობელებზე, ვინც შეიძინა ნაკვეთები ამ ცვლილებების ამოქმედებამდე. ურუშაძემ აღნიშნა, რომ "მიუღებელია შეძენის აკრძალვა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დროებითია". ამავე დროს, მან განაცხადა, რომ "ევროკავშირის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს, მაგრამ არა აკრძალვებს" მისაღებია საქართველოსთვის.
DAILY NEWS, 23 ივლისი, 2013

Growing mushrooms in Georgia

The EBRD helps Georgia's Tetri Kudi – and many other small businesses – succeed. Rustavi, is mostly known today for its industry. But besides steel and pipes, the city's Soviet-style urban landscape is the backdrop for a very different type of production, slower, more delicate and more natural: the cultivation of mushrooms. For whole information, please click here.

სოკოს წარმოება საქართველოში

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი ეხმარება „თეთრ ქუდს" და ბევრ სხვა მცირე ბიზნეს-კომპანიას. რუსთავი ძირითადად ცნობილია, როგორც სამრეწველო ქალაქი, მაგრამ გარდა ფოლადის და მილებისა, ქალაქის საბჭოური ურბანული ლანდშაფტის ფონზე ხდება ძალიან განსხვავებული პროდუქციის - სოკოს ნელი, დახვეწილი და ბუნებრივი კულტივაცია.

TSINANDALI OLD WINE CELLAR GOT $480,000 WITHIN PREFERENTIAL AGROLOAN PROGRAM

Agriculture Ministry reported that Tsinandali Old Wine Cellar started expansion of the enterprise through credit of $480,000, received within the preferential agroloan program. The company has already purchased modern refrigerators and tanks, and plans reconstructions in order to start operation with full load in autumn. According to the Ministry, Tsinandali Old Wine Cellar has passed all required procedures and is going to start export to Russia upon receive of requested 500,000 excise stamps in next few days. Currently, the company exports production to Poland, Belorussia, Ukraine, Latvia, etc.
DAILY NEWS, July 22, 2013

„წინანდლის ძველი მარანი“ 480 000 დოლარს იღებს შეღავათიანი აგრო-სესხის პროგრამის ფარგლებში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, „წინანდლის ძველმა მარანმა“ დაიწყო საწარმოს გაფართოება შეღავათიანი აგრო-სესხის პროგრამის ფარგლებში მიღებული 480 000 დოლარი კრედიტის მეშვეობით. კომპანიამ უკვე შეიძინა თანამედროვე მაცივრები და რეზერვუარები და გეგმავს რეკონსტრუქციას, რათა დაიწყოს ფუნქციონირება სრული დატვირთვით შემოდგომაზე. სამინისტროს ინფორმაციით, „წინანდლის ძველმა მარანმა“ გაიარა ყველა საჭირო პროცედურა და აპირებს დაიწყოს ექსპორტი რუსეთში მოთხოვნილი 500 000 აქციზური მარკის მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ამჟამად კომპანია ექსპორტს აწარმოებს პოლონეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში, ლატვიაში და სხვა.

DAILY NEWS, 22 ივლისი, 2013

+++SCHUCHMANN WINES GEORGIA BUILT A NEW WINE CELLAR THROUGH PREFERENTIAL AGROLOAN+++

Agriculture Ministry reported that within preferential agroloan program, Schuchmann Wines Georgia has borrowed $135,000. Through this credit, the company has built a new marani (wine cellar) with 40 kvevri (traditional subground wine pitchers). According to the Ministry, the company also bought oak barrels and 4 rustproof tanks, while almost completed construction of a storehouse for 1 million bottles of wine. The enterprise purchases grapes of Tsinandali, Mukuzani and Akhasheni species from population every year. As the Ministry said, the company plans to purchase about 150-200 t this year. Schuchmann Wines Georgia exports more than 30 names of wine to Europe (Germany, Switzerland, Austria, France, Poland, Sweden). Upon receive of excise stamps, the first lot will be exported to Russia as well (in about 2 weeks), the Ministry noted. To note, Schuchmann Wines Georgia was founded in 2008 by German investments. The shares are distributed among directors: German Burkhard Schuchmann (52%) and Georgian Nutsa Abramishvili (48%). The company owns vineyard of 120 ha, harvesting 9 species of grapes.

DAILY NEWS, July 22, 2013

“SCHUCHMANN WINES GEORGIA“-მ ააშენა ახალი ღვინის მარანი შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო კრედიტით

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის პროგრამის ფარგლებში „Schuchmann Wines Georgia“-მ მიიღო 135 000 აშშ დოლარის სესხი. ამ კრედიტის გამოყენებით კომპანიამ ააშენა ახალი მარანი 40 ქვევრით (ტრადიციული ღვინის შესანახი მიწისქვეშა ჭურჭელი). სამინისტროს ცნობით, კომპანიამ ასევე შეიძინა მუხის კასრები და 4 უჟანგავი ლითონის რეზერვუარი და თითქმის დაასრულა 1 მლნ ბოთლი ღვინის საცავის მშენებლობა. საწარმო იძენს წინანდალის, მუკუზანის, ახაშენის ყურძენს მოსახლეობისგან ყოველ წელს. სამინისტრო აცხადებს, რომ კომპანია გეგმავს წელს შეიძინოს დაახლოებით 150-200 ტონა ყურძენი. „Schuchmann Wines Georgia“-ს 30-ზე მეტი დასახელების ღვინო გააქვს ექსპორტზე ევროპაში (გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, საფრანგეთი, პოლონეთი, შვეცია). აქციზური მარკების მიღების შემდეგ პირველი პარტია ექსპორტირებულ იქნება რუსეთშიც (დაახლოებით 2 კვირაში). „Schuchmann Wines Georgia“ დაარსდა 2008 წელს გერმანული ინვესტიციებით. აქციები განაწილებულია დირექტორებს გერმანელ ბურხარდ შუჩმანს (52%) და ქართველ ნუცა აბრამიშვილს (48%) შორის. კომპანიას ეკუთვნის 120 ჰექტარი ვენახი, სადაც მოჰყავთ 9 სახეობის ყურძენი.

DAILY NEWS, 22 ივლისი, 2013

EXPORT OF ALCOHOLIC DRINKS IS INCREASED BY 24%

National Wine Agency of Georgia reports that 7 wine companies have already exported production on the Russian market: GWS – 280,000 bottles, Dugladze Wine Company – 270,000, Kakheti Traditional Winery – 250,000, Wine Cellar's Door – 108,000, Batono – 72,000, Tbilgvino – 30,000, Georgian Wine – 15,600. According to head of the Agency Levan Davitashvili, average cost of Georgian wine in Russia makes up $3.5 and "it is well sold". The producers plan to sell up to 10 million bottles, the volume, which is twice less comparing to the rate, fixed before Russian embargo. Regarding adulteration, expert of viticulture and agriculture Giorgi Barisashvili declares that Georgia exports wine of high quality and "we are not responsible on the next activities".

ECONOMIC PRESS MONITOR, July 19, 2013

ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი იზრდება 24%-ით

საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო იუწყება, რომ 7 ღვინის კომპანიამ უკვე გაიტანა ექსპორტზე პროდუქცია რუსულ ბაზარზე: „GWS" – 280 000 ბოთლი, ღვინის კომპანია „დუგლაძე" - 270 000, „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა" - 250 000, „ღვინის მარანის კარი" - 108 000, „ბატონო" - 72 000, „თბილღვინო" - 30 000, „ქართული ღვინო" - 15 600. სააგენტოს უფროსის ლევან დავითაშვილის განცხადებით, ქართული ღვინის საშუალო ღირებულება რუსეთში შეადგენს 3,5 აშშ დოლარს და "ის კარგად იყიდება." მწარმოებლები გეგმავენ 10 მილიონ ბოთლამდე ღვინის გაყიდვას. ეს მოცულობა ორჯერ ნაკლებია იმ რაოდენობასთან შედარებით, რაც იყიდებოდა რუსეთის ემბარგომდე. რაც შეეხება ფალსიფიკაციას, მევენახეობის და სოფლის მეურნეობის ექსპერტი გიორგი ბარისაშვილი აცხადებს, რომ საქართველო მაღალი ხარისხის ღვინის ექსპორტს აწარმოებს და "ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი იმაზე, რაც ჩვენს გარეშე ხდება".

ECONOMIC PRESS MONITOR, 19 ივლისი, 2013

HAZELNUT PRODUCTION IN GEORGIA REDUCED BY 21.6%

Sakstat reported that hazelnut production totaled to 24,700 t in 2012. The volume is reduced by 21.6%, if compared with 2011. In total production, Samegrelo – Zemo Svaneti region accounted for 47.8% (year-on-year decline – 25.3%). Next come Guria – 24% (decline – 13.3%) and Imereti – 13.8% (decline – 29.2%). Other regions account for 14.2% of total production (their combined production declined year-on-year by 5.4%).

DAILY NEWS, July 19, 2013

თხილის წარმოება საქართველოში შემცირდა 21,6%-ით

„საქსტატის" ინფორმაციით 24,7 ათასი ტონა თხილის წარმოება მოხდა საქართველოში 2012 წელს. მონაცემი 21,6%-ით შემცირებულია 2011 წელთან შედარებით. მთლიან პრდუქციაში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მონაცემია 47,8% (წლიური კლება 25,3%). მომდევნო ადგილზეა გურია 24% (კლება – 13,3%) და იმერეთი 13,8% (კლება – 29,2%). სხვა რეგიონებზე მოდის წარმოების 14,2% (კლების ერთიანი მაჩვენებელია 5,4%).

DAILY NEWS, 19 ივლისი, 2013 წელი

FRUIT PRODUCTION REDUCED BY 15.7% IN 2012

Sakstat reported that fruit production made up 159,700 t in 2012. This showing, compared with 2011, is reduced by 15.7%. Samegrelo – Zemo Svaneti region accounts for the largest share of total production – 26.3% (year-on-year growth in production made up 21.3%). Next largest producer regions are Shida Kartli – 23.8% (decline – 38.5%) and Imereti – 13.8% (growth – 17.8%). The rest

regions account for 36% of total fruit production (their combined production declined year-on-year by 22.5%).
DAILY NEWS, July 19, 2013

ხილის წარმოება შემცირდა 15,7%-ით 2012 წელს
„საქსტატის“ ინფორმაციით, ხილის წარმოებამ 159 700 ტონა შეადგინა 2012 წელს. ეს მაჩვენებელი 2011 წელთან შედარებით 15,7%-ით ნაკლებია. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონზე მოდის ყველაზე დიდი წილი მთლიან წარმოებაში - 26,3% (წლიური ზრდის მაჩვენებელია 21,3%). შემდეგი უდიდესი მწარმოებელი რეგიონებია შიდა ქართლი - 23,8% (კლება - 38,5%) და იმერეთი - 13,8% (ზრდა - 17,8%). დანარჩენი რეგიონების ანგარიშზე მოდის ხილის მთლიანი წარმოების 36% (კლების საერთო მაჩვენებელი ამ რეგიონებისთვის არის წლიური 22,5%).
DAILY NEWS, 19 ივლისი, 2013

GWS EXPORTED ABOUT 300,000 BOTTLES OF WINE TO RUSSIAN MARKET
Georgian Ministry of Agriculture reported that GWS has exported to Russia up to 300,000 bottles of wine (Old Tbilisi and Tamada trademarks) during 2 months (June-July). Nowadays, GWS production is presented in almost all federal and local trade networks of Russia and its prices vary from 300 to 800 roubles per bottle, the Ministry declares. The Ministry also said that until end of the year, GWS plans to export about 1 million bottles of wine and plant new vineyards. According to the Ministry, Georgian wine companies have exported more than 1.5 million bottles of wine to Russian market since June. Besides GWS, exporting companies are Alaverdi, Badagoni, Batono, Dugladze Wine Company, Kakheti Traditional Winery, Wine Cellar's Door and Tbilgvino.
DAILY NEWS, July 18, 2013

„GWS“-მა დაახლოებით 300 000 ბოთლი ღვინის ექსპორტი განახორციელა რუსულ ბაზარზე
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, „GWS“-მა დაახლოებით 300 000 ბოთლი ღვინის ექსპორტი განახორციელა რუსულ ბაზარზე (სასაქონლო ნიშნები „ძველი თბილისი“ და „თამადა“) 2 თვის განმავლობაში (ივნისი-ივლისი). სამინისტრო აცხადებს, რომ ამჟამად „GWS“-ის პროდუქცია წარმოდგენილია რუსეთის თითქმის ყველა ფედერალურ და ადგილობრივ სავაჭრო ქსელში და ფასები მერყეობს 300-დან 800 რუბლამდე ბოთლზე. სამინისტრომ ასევე განაცხადა, რომ წლის ბოლომდე „GWS“ გეგმავს დაახლოებით 1 მილიონი ბოთლის ექსპორტს და ახალი ვენახების გაშენებას. სამინისტროს ცნობით, ქართული ღვინის კომპანიებმა ექსპორტზე 1,5 მილიონ ბოთლზე მეტი გაიტანეს ღვინის რუსულ ბაზარზე ივნისის შემდეგ. გარდა „GWS“-ისა, ექსპორტიორი კომპანიებია „ალავერდი“, „ბადაგონი“, „ბატონო“, ღვინის კომპანია „დუგლაძე“, „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა“, „ღვინის მარანის კარი“ და „თბილღვინო“.
DAILY NEWS, 18 ივლისი, 2013

GEORGIA DEPRIVES FOREIGNERS OF OWNERSHIP RIGHT FOR AGRICULTURAL LAND UNTIL 2015
Amendments to law "On Agriculture Land Ownership", which have entered in force yesterday, set restrictions for foreigners. In particular, legal entity, registered abroad, as well as legal entity, registered in Georgia by foreigner, has no right to own agricultural land (including inherited land) until December 31, 2014. Ownership right is envisaged only for Georgian citizens, household and legal entities, registered in Georgia by Georgian citizens. Those foreigners, who own currently agriculture land in Georgia, are required to sell it to Georgian citizens, households or legal entities, registered in Georgia by Georgian citizens, during 6 months after enforcement of the amendments.

Otherwise, their land plots will be seized in favor of the state with payment of relevant compensation, the document says. Besides, the amendments charge the government to develop until December 31, 2013 a single state policy on agricultural land ownership with the aim of land resources' rational consumption and protection. Inventory and single system of agriculture land use should be applied to the whole territory of Georgia in order to perfect cadastre data on agricultural land plots.
DAILY NEWS, July 18, 2013

საქართველო უცხოელებს ართმევს საკუთრების უფლებას სასოფლო-სამეურნეო მიწაზე 2015 წლამდე

დამატებები საქართველოს კანონში "სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ", რომელიც გუშინ შევიდა ძალაში, აწესებს შეზღუდვებს უცხოელებზე. კერძოდ, საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიული პირს, აგრეთვე იურიდიულ პირს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში უცხოელის მიერ, არ აქვს უფლება ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას (მემკვიდრეობით მიღებული მიწის ჩათვლით) 2014 წლის 31 დეკემბრამდე. საკუთრების უფლება გათვალისწინებულია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, ოჯახებზე და საქართველოს მოქალაქეების მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე. ის უცხოელები, რომლებიც ამჟამად ფლობენ სასოფლო-სამეურნეო მიწას საქართველოში, ვალდებულნი არიან გაყიდონ ის საქართველოს მოქალაქეებზე, ოჯახებზე ან საქართველოს მოქალაქეების მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე 6 თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ცვლილებები ძალაში შევიდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიწის ნაკვეთებს დაედება ყადაღა და გადავა სახელმწიფოს სარგებლობაში შესაბამისი კომპენსაციის გადახდის შემდეგ, ნათქვამია დოკუმენტში. გარდა ამისა, ცვლილებები აკისრებს მთავრობას შეიმუშაოს 2013 წლის 31 დეკემბრამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის მიზანია მიწის რესურსების რაციონალური მოხმარება და დაცვა. ინვენტარიზაცია და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენების ერთიანი სისტემა უნდა იქნას გამოყენებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკადასტრო მონაცემების სრულყოფის მიზნით.
DAILY NEWS, 18 ივლისი, 2013

AMENDMENTS ARE EXPECTED IN LAW "ON VINE AND WINE"

Draft amendments to law "On Vine and Wine" to be ready by September, for autumn session of the Parliament, Iveri Akhalbedashvili, head of staff of the Parliament's Agriculture Committee, told Sarke. According to Akhalbedashvili, both the Committee and National Wine Agency have created the working groups for that end. Results of these groups' work will be summed up, he said. This issue was discussed at today's meeting in Tbilisi with participation of the branch specialists, representatives of the Committee and the Agency. According to recommendations, presented at the meeting, local acts should be brought in compliance with EU regulations in the first instance, Akhalbedashvili said. One of these recommendations was to regulate grape-based alcohol beverage by separate law, he reported, noting that this is subject for discussion.
DAILY NEWS, July 18, 2013

მზადდება ცვლილებები კანონში "ვაზისა და ღვინის შესახებ"

კანონში "ვაზისა და ღვინის შესახებ" ცვლილებების პროექტი უნდა იყოს მზად სექტემბრისთვის, პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე, როგორც ივერი ახალბედაშვილმა, პარლამენტის სოფლის მეურნეობის კომიტეტის აპარატის უფროსმა განაცხადა „სარკესთან" ინტერვიუში. მისი თქმით, კომიტეტმა და „ღვინის ეროვნულმა სააგენტომ" შექმენა სამუშაო ჯგუფები. ამ ჯგუფის მუშაობის შედეგები შეჯამებულ იქნება, განაცხადა მან. ეს საკითხი

განხილულ იქნა დღევანდელ შეხვედრაზე თბილისში დარგის სპეციალისტების, კომიტეტის და სააგენტოს წარმომადგენლების მონაწილეობით. ახალბედაშვილის განცხადებით, რეკომენდაციების მიხედვით, რომლებიც შეხვედრაზე მოისმინეს, ადგილობრივი აქტები უნდა იქნას მოყვანილი შესაბამისობაში ევროკავშირის რეგულაციებთან. ერთ-ერთი ასეთი რეკომენდაცია იყო ყურძნის საფუძველზე დამზადებული ალკოჰოლური სასმელებისთვის ცალკე კანონის მიღება. როგორც მან აღნიშნა ეს საკითხი არის განხილვის საგანი.
DAILY NEWS, 18 ივლისი, 2013

Fish Market Research for Russian and European Markets
The Armenian Development Agency (ADA) had published a market research on the fish market in Armenia, Russia and Europe. The whole research is available here

თევზის ბაზრის შესწავლა რუსეთის და ევროპული ბაზრებისთვის
სომხეთის განვითარების სააგენტომ (ADA) გამოაქვეყნა სომხეთში, რუსეთსა და ევროპაში თევზის ბაზრის კვლევა.

Fresh fruit and Vegetable market research of Armenian Development Agency
The Armenian Development Agency (ADA) published a market research in 2012 regarding fresh fruits and vegetables of Russian, Georgian, Armenian, Kuwait and European market. The full market research is available here

სომხეთის განვითარების სააგენტოს ახალი ხილის და ბოსტნეულის ბაზრის კვლევა
სომხეთის განვითარების სააგენტომ (ADA) გამოაქვეყნა 2012 წელს ახალი ხილის და ბოსტნეულის ბაზრის კვლევა ქართულ, რუსულ, სომხურ, ქუვეითის და ევროპის ბაზარზე.

Cheese market reserch of Armenian Development Agency
Cheese market research for Armenian, Russian, Georgian, European and Arab markets
The Armenian Development Agency (ADA) published a market research in 2012 of cheese market for Armenia, Russia, Georgia, EU and Arab countries. The market research is available here

სომხეთის განვითარების სააგენტოს ყველის ბაზრის კვლევა
ყველის ბაზრის კვლევა სომხეთის რუსეთის, საქართველოს, ევროპის და არაბული ქვეყნების ბაზრებისთვის. სომხეთის განვითარების სააგენტომ (ADA) გამოაქვეყნა 2012 წელს ყველის ბაზრის კვლევა სომხეთის, რუსეთის, საქართველოს, ევროგაერთიანების და არაბული ქვეყნების ბაზარზე.